საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/149 " 5 " აგვისტო 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. გრატიაშვილისათვის ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 23 ივნისიდან 27 ივნისამდე გამოცხადებული იყო განაცხადების მიღება ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. აღნიშნულ ვაკანსიაზე მოსამართლეთა განაცხადები მიღებული არ ყოფილა. ბოლნისის რაიონული სასამართლო ერთ-ერთი დატვირთული სასამართლოა, ხოლო თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად მოქმედებს სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, თავმჯდომარის დანიშვნამდე ამ უფლებამოსილების ერთ-ერთი მოსამართლისათვის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე და კერძოდ, წარმოდგენილ იქნა მოსამართლე გიორგი გრატიაშვილის კანდიდატურა. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრების მიერ. გიორგი გრატიაშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 6 წელზე მეტი გამოცდილება. ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გამწესებამდე იგი მოსამართლის უფლებამოსილებას, ასევე, ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ ბათუმის საქალაქო სასამართლოში ახორციელებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გიორგი გრატიაშვილს დაეკისროს ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2021 წლის 6 აგვისტოდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი